# ხელშეკრულება № 155

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური

18 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე **მხრივ, შ.პ.ს. „მარულა+" (საინ.კოდ 242008876), წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ქორიძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი") საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 ივლისის N1201 ბრძანების შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- წარმომადგენლობითი ხარჯები (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ანსამბლ „ქართული ხმების" მიერ გასამართ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება)

(CPV – 55300000)

### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 5. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

## 6. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური.

6.2. **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდება **2018 წლის 18 ივლისიდან 2018 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.**

## 7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურება შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2018 წლის 18 ივლისიდან 2018 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 18 ივლისიდან 2018 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705

„მიმწოდებელი“ ---------- თ. ქორიძე

შ.პ.ს „მარულა+“
საინ/კოდ 242008876
ს.ს. თიბისი ბანკი
საინდ. კოდი **TBCBGE22**
ანგ. №**GE83TB7594136020100003**

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური 18 ივლისი 2018 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. ,,მარულა+"-ს (ს.კ.242008876) შორის 2018 წლის 18 ივლისს გაფორმებული N155 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გამარტივებულ შესყიდვაში (კლასიფიკატორის CPV კოდი - 50300000, დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: chokhatauri.board@yahoo.com; contact@chokhatauri.ge;


# მუნიციპალიტეტის მერის

N 1201
18/07/2018

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1201-05-4-201807181434

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან 4000 (ოთხი ათასი) ლარის გამოყოფის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოიყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (01 00) პროგრამის „ჩოხატაურის მერიის“ (01 02) ქვეპროგრამიდან 4000 (ოთხი ათასი) ლარი და აღნიშნული თანხა მიიმართოს მიმდინარე წლის 18 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ანსამბლ „ქართული ხმების“ მიერ გასამართ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების გასამასპინძლებლად.
2. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მოახდინოს აღნიშნული თანხით დაფინანსება სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა N4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა